პირადი ცხოვრების ავტონომია: პირადი ცხოვრების საიდუმლოს სამართლებრივი გაგება და მისი დაცვის გარანტიები

მარიამი კანდელაკი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში

სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი კანდელაკი

2025 წელი

აბსტრაქტი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის ღირსების გამოხატულებაა, რომელიც ბოლო ასწლეულში სულ სხვა კონცეფციით განვითარდა და მოიცვა არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკური სივრცე და მდგომარეობა, არამედ მისი შინაგანი სამყაროც. ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ გაფართოვდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფეროს საზღვრები, თუმცა კიდევ უფრო რთული გახდა ამ საზღვრების დაცვა მესამე პირებისგან.

პირადი ცხოვრების საიდუმლო პირადი ცხოვრების ავტონომიის ერთ-ერთი გამოვლენაა, რა დროსაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, რომ მასთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების ინფორმაცია იყოს კონფიდენციალური. პირადი ცხოვრების საიდუმლოს და პირადი ცხოვრების ინფორმაციას ხშირად სინონიმებად განიხილავენ, რაც არასწორია და გამოწვეულია საიდუმლოს ცნების სამართლებრივი განმარტების არ არსებობით.

ნაშრომში განხილული იქნება პირადი ცხოვრების ავტონომიის წარმოშობის ისტორია და მისი არსი, რის შემდეგაც განიხილება ამ უკანასკნელის და გამოხატვის თავისუფლების კოლიზიის შემთხვევები. მკითხველს ექნება შესაძლებლობა გაიგოს თუ რას ნიშნავს პირადი ცხოვრების საიდუმლო, რაშიც მას დაეხმარება ნაშრომში არსებული უზენაესი სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული განმარტებები. ასევე, წინამდებარე ნაშრომით განხილული იქნება პირადი ცხოვრების საიდუმლოს დაცვის ქართული და ევროპული სამართლებრივი მექანიზმები, რის შემდეგაც განხორციელდება მათი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

კვლევის მიზანია დაადგინოს პირადი ცხოვრების საიდუმლოს არსი და მის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის გზები. ამ მიზნით ნაშრომის ფარგლებში განხილულია პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის დანაშაულის ჭრილში არსებული პრაქტიკული პრობლემები, რომლებზე პასუხებიც დღემდე არ არსებობს იურიდიულ დოქტრინაში.

ნაშრომი ეფუძნება დოგმატურ-იურიდიულ კვლევას, რომელიც მოიცავს სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ამასთან, ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეფასდა პირადი ცხოვრების საიდუმლოს დაცვის ქართული და ევროპული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა. კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურისტთან, რისი მეშვეობითაც გაანალიზდა აღნიშნული სამსახურის როლი პირადი ცხოვრების ავტონომიის დაცვის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: პირადი ცხოვრების საიდუმლო, პირადი ცხოვრების ავტონომია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, კონფიდენციალურობის უფლება.

Abstract

The Right to Privacy is an expression of human dignity, which, over the past century, has taken on an entirely new concept. It now encompasses not only a person's physical space and condition but also their inner world. In parallel with technological development, the scope of areas protected by the right to privacy has expanded, but at the same time, protecting these boundaries from third-party interference has become increasingly complex.

One of the true expressions of the Secret Autonomy of Personal Life is, when a person chooses for the information related to their private life to remain confidential. The terms "Confidentiality of Private Life" and "Private Life Information" are often treated as synonyms, which is incorrect and it is related to the fact, that legal systems around the world refrain from defining these concepts.

In this research explore the historical origins and essence of private life autonomy. It will then examine instances where the Right to Privacy comes into conflict with the freedom of thought. Readers will have the opportunity to understand what the Confidentiality of Private Life entails, how it differs from Private Life Information, and what legal mechanisms exist to protect it. For a thorough understanding of the concept of Private Life Confidentiality, the research will draw on precedential interpretations from the Supreme Court of Georgia and the European Court of Human Rights.

The Research will also analyze the legal mechanisms for protecting private life confidentiality in both Georgian and European law. This will be followed by a comparative legal analysis and an identification of problems related to the legislative regulation of private life confidentiality at the national level.

The goal of this research is to define the essence of private life confidentiality and to identify solutions to the challenges associated with its protection. To that end, the research examines practical problems related to the criminal offense of violating private life confidentiality in Georgia — issues for which no clear answers currently exist in legal doctrine.

The thesis is based on a dogmatic-legal study that includes an analysis of legal norms and judicial practice. Additionally, the thesis employs a comparative-legal research method, through which the effectiveness of Georgian and European legal mechanisms for the protection of personal life privacy was assessed. As part of the research, an interview was conducted with a lawyer from the Personal Data Protection Service of Georgia, through which the role of this service in the context of protecting personal life autonomy was analyzed.

Keywords: Confidentiality of Private Life, Autonomy of Private Life, Right to privacy, Personal data Protection, Freedom of thought.